

**ევოლუციური განტოლების ამოხსნის მრავალშრიანი
ნახევრადდისკრეტული სქემების გახლეჩა ორშრიან სქემებად და
მიახლოებითი ამონახსნის ცდომილების შეფასება ასოცირებული
პოლინომების გამოყენებით**

დავით გულუა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,
d_gulua@gtu.ge

ნაშრომში, შემფოთებათა ალგორითმის გამოყენებით, არაცხადი სამშრიანი და ოთხშრიანი ნახევრადდისკრეტული სქემები ევოლუციური განტოლებისათვის მიიყვანება ორშრიან სქემებზე. ამ ორშრიანი სქემების ამონახსნებით იგება საწყისი ამოცანის მიახლოებითი ამონახსნი. ჰილბერტის სივრცეში, ასოცირებული პოლინომების გამოყენებით, მიღებულია მიახლოებითი ამონახსნების ცდომილებების შეფასება.